

34. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1998 წლის 26 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება

1998 წლის 24 ივნისს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო დადგენილება ~სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმის ნორმალიზაციის აუცილებლობის შესახებ~.

საქართველოს პარლამენტი ამ დადგენილებას მიიჩნევს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მხრიდან მიუღებელ აქტად და საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად.

დადგენილება მიღებულია იმ დროს, როდესაც აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით სოხუმსა და თბილისში მიმდინარეობს უაღრესად დაძაბული მოლაპარაკებები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ რუსეთის მაღალი რანგის დიპლომატები. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ნებისმიერი ცალმხრივი აქცია ართულებს მოლაპარაკებებს და ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის, როგორც მიუკერძოებელი შუამავლის ქმედუნარიანობასა და ავტორიტეტს.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ზემოხსენებული დადგენილებით აგრძელებს წინა მოწვევის სახელმწიფო სათათბიროსა და რუსეთის უმაღლესი საბჭოს მიერ დამკვიდრებულ მანკიერ ტრადიციას. იგი არაერთგზის გამოვლინდა საქართველოსადმი არაკეთილმოსურნე, ზოგჯერ კი მტრული შეფერილობის გადაწყვეტილებების მიღებით, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდასა და გენოციდს.

ამკარაა, რომ აღნიშნული დადგენილება მიზნად ისახავს გაართულოს ა. წ. მაისის მოვლენების შედეგად აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში შექმნილი ისედაც უკიდურესად დაძაბული ვითარება, გამოიწვიოს კონფლიქტის ახალი ძალით აფეთქება, გააძლიეროს ეჭვისა და უნდობლობის სინდრომი, რომელმაც, სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების შემდეგ თავი იჩინა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ამ დადგენილებით ფაქტობრივად მხარს უჭერს სეპარატიზმს, ამართლებს მაისის ბოლოს აფხაზი სეპარატისტების მიერ კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და საეჭვოს ხდის რუსეთის ფედერაციის ერთგულებას საერთაშორისო სამართლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპებისადმი.

სახელმწიფო სათათბირო თავისი დადგენილებით რუსეთის პრეზიდენტისაგან მოითხოვს საქართველოსთან შეთანხმების გარეშე, ცალმხრივად შეცვალოს სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმი საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე. ამასთან, ეს დადგენილება აკნინებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ავტორიტეტს და ხელს უშლის თანამეგობრობაში ურთიერთხელსაყრელი ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ამ ფონზე ფუჭი და ყალბია განცხადებები ინტეგრაციის შესახებ, რომლებიც ხშირად გაისმის სახელმწიფო სათათბიროში, ვინაიდან ჯანსაღი ინტეგრაციული პროცესები შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ერთმანეთის ინტერესთა პატივისცემის საფუძველზე.

მიუღებელი, ცალმხრივი აქტები, სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა მთლიანად დაარღვევს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საფუძველს და აიძულებს საქართველოს მიიღოს ადეკვატური ზომები.

საქართველოს პარლამენტი

თბილისი, 1998 წლის 26 ივნისი

(აფხაზეთის; საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წ. წაწილი 1995-1999 წ. წ. ავტორები დასარქვად აქციოკოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზბაია, & თბილისი, 2000, გვ. 224-225)